

ქართული კარიკატურის საწყის ეტაპზე ასახული საქართველოს სოციალურ- კულტურული ვითარება

ირინე აბესაძე

საკვანძო სიტყვები: კარიკატურა, სათავეები, პეტერსონი, „ფალანგა“

სტატიაში განხილულია ქართული კარიკატურის სათავეებთან მდგომი სამი ქართველი მხატვრის: დავით ერისთავის, დავით გურამიშვილისა და ალექსანდრე ბერიძის მნიშვნელოვანი კარიკატურები გამოქვეყნებული 1880-1881 წლების ჟურნალში „ფალანგა“. მათში ასახულია იმ პერიოდის საქართველოს სოციალური ვითარება.

სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დარგი - სატირული გრაფიკა, კონკრეტულად კი, საზოგადოების სოციალურ-კულტურული მდგომარეობის მამხილებელი - კარიკატურა საქართველოში, ისევე, როგორც საკაცობრიო არტ-სივრცეში, მჭიდროდ დაუკავშირდა საგამომცემლო საქმიანობას. კვლევით დასტურდება, რომ ქართული კარიკატურის ჟანრობრივი გამოჩენა ასპარეზზე არ უკავშირდება 1888 წელს, როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, როდესაც ვალერიან გუნიაშვილმა გამოსცა ჟურნალი „თეატრის“ პირველი ნომერი, არამედ 1880 წელს, როდესაც თბილისში გამოვიდა რუსულენოვანი იუმორისტულ კარიკატურებიანი ჟურნალი „ფალანგა“ (რედაქტორი ივანე პიტოევი). ჟურნალ „ფალანგას“ მოღვაწეობის 2 წლის განმავლობაში, უდიდესი დაბრკოლებების მიუხედავად გამოიცა 50 ნომერი. ვინაიდან „ფალანგა“ რუსულ ენაზე გამოდიოდა, ეს გახდა, როგორც ჩანს, ქართველ მკვლევართა ნაწილის მიერ მისი იგნორირების საფუძველი, იმ მოტივით, რომ ეს ჟურნალი ქართულ საქმეს არ ემსახურებოდაო.¹ ეს კი, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ჟურნალ „ფალანგას“ გვერდებზე, მკითხველი ფელეტონებითა და კარიკატურებით ეცნობოდა იმ დროის საქართველოს საზოგადოებაში დაგროვილ პრობლემათმცოდნეობას. გასათვალისწინებელია ისიც რომ აღნიშნული ჟურნალის შექმნის საორგანიზაციო საკითხებში ჩართული

იყვნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: დრამატურგი და მხატვარი დავით ერისთავი, მხატვრები: დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ბერიძე, ვფიქრობ, ეროვნულობის კითხვის ქვეშ დაყენების საკითხი მოხსნილი უნდა იყოს. ამას ასევე ემატება ცნობა, რომ ამ ჟურნალის წარმატებულ ფუნქციონირებას თანაუგრძნობდა „საქართველოს ბულბულად“ წოდებული აკაკი წერეთელი,² რაც უცილობლად ადასტურებს ჟურნალის ეროვნულ პოზიციას. აღსანიშნავია, რომ სამივე მხატვრისთვის ეს იყო საკუთარი ძაღლების მოსინჯვა სოციალური კარიკატურის ჟანრში და საკმაოდ წარმატებულად, რის გაანალიზებასაც შევეცდები მოხსენების შემდგომ ფორმატის გათვალისწინებით, მრავალთავან, მხოლოდ რამდენიმე კარიკატურაზე დაყრდნობით.

ჟურნალში „ფალანგა“ ყურადღებას იპყრობს რედკოლეგიაში მხატვრად პეტერსონის დასახელება, რომელსაც გვერდით ფრჩხილებში მიწერილი აქვს ფსევდონიმი. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესოა, თუ ვინ არის მხატვარ პეტერსონის ფსევდონიმს ამოფარებული. ცნობილია, რომ იოსებ გრიშაშვილს, რომელიც აგროვებდა მასალას ქართული კარიკატურის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე ნარკვევის დაწერის მიზნით (რაც არ განხორციელებულა), უთხოვია ოსკარ შმერლინგისთვის საქართველოში იმ დროს მოღვაწე კარიკატურისტების სიის ჩამოწერა. ცნო-

1 მიშველაძე, რჩეული, ტ. 24, გვ. 462.
2 სეფიაშვილი, საბჭოთა, 1957, გვ. 18.

ბილ კარიკატურისტს სიის სათავეში, პირველ რიგში, ჩაუწერია ჟურნალ „ფალანგას“ მხატვარი პეტერსონი, რომლის გასწვრივ მიუწერია – პეტრე კოლჩინი. ამრიგად, გაირკვა, რომ პეტერსონი საქართველოში იმხანად მოღვაწე რუსი მხატვრის – პეტრე პეტრეს ძე კოლჩინის ფსევდონიმი ყოფილა. სხვათა შორის, ამ ვერსიას ეყრდნობა მკვლევარი მარკ კიპნისი.³ პეტრე პეტრეს ძე კოლჩინს (1838-1898), საქართველოში ცნობილს ზედმეტსახელით „მხატვარი ლუბლიანიდან“, დასრულებული ჰქონდა პროფესიული სამხატვრო წვრთნა რუსეთსა და ლიუბლიანაში. იგი ძირითადად აკადემიურ მხატვრობას მისდევდა. გარდა მხატვრობისა, მის ინტერესთა არეალში შედიოდა ახალ შემოსული და საქართველოში დიდად გავრცელებული ფოტოგრაფიაც. რაც შეეხება, მისი როგორც კარიკატურისტის მონაწილეობას ჟურნალში „ფალანგა“, შესაძლებელია, იგი, როგორც გამოცდილი პროფესიონალი, მხატვრული ფორმის დახვეწის თვალსაზრისით, კონსულტანტი ყოფილიყო დამწყები ქართველი მხატვრებისთვის. სავარაუდოა, მისი თანამონაწილეობა, უპირველესად, ფსევდონიმის არჩევისას გამოჩნდა, ვინაიდან პეტრე იყო პეტრეს ძე, რაც ინგლისურად ითარგმნა და მივიღეთ Peterson. ამრიგად, მეტი თავდაჯერებულობისთვის პროფესიონალი მხატვრის ფსევდონიმს ამოეფარნენ: დავით ერისთავი, დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ბერიძე. თითოეული მათგანი განსხვავებული ხელწერის საკუთარ კარიკატურებს დამატებით კიდევ აქარაგმებდა, ხან მხოლოდ ერთი ინიციალით, ხან შებრუნებულად დაწერილი საკუთარი გვარით, ხანაც მარჯვნივ ან მარცხნივ კუთხეში ლათინურად მიწერილი დამატებითი ფსევდონიმით. ისიც უნდა ითქვას, რომ ჟურნალის კარიკატურები გრავიორ ალექსანდრე შვანის ხელში გადიოდა, რომელიც კარიკატურებს საკუთარი ინიციალებითაც აქარაგმებდა. ქარაგმათა ამ ლაბირინთში გარკვევის მიზნით, დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ცენტრალურ არქივში, დავით ერისთავის ფონდში დაცულ ჟურნალის ორივე წლის კომპლექტში თვით ერისთავისეულმა მინაწერებმა „დ. ერისთავი“, რომლითაც მან დაამოწმა თავისივე სხვადასხვა ფსევდონიმით („აკვაფორტე“,

„აკვაფორტე-კაპრალი“, „სონინი“, „გეტერიონი“, „მ“) დამშვენებული კარიკატურები.

მკვლევარმა მამია ჩხიკვიშვილმა მართალია, სამართლიანად პირველ ქართველ კარიკატურისტად მიიჩნია დავით ერისთავი, მაგრამ იგი შეცდა, როდესაც ჩათვალა, რომ პეტერსონი არის მხოლოდ დავით ერისთავის ფსევდონიმი, ფსევდონიმებთან – „კაპრალი“, „სონინი“ – ერთად. მამია ჩხიკვიშვილს შეცდომით ალექსანდრე შვანიც დავით ერისთავის ფსევდონიმი ეგონა,⁴ რაც არ არის სწორი. 1880 წლის ჟურნალ „ფალანგას“ №1 იხსენება მეტად საინტერესო და უთუოდ თამამი კარიკატურით, რომელსაც მარჯვენა კუთხეში ხელს აწერს პეტერსონი. კარიკატურა ასახავს საცენზურო კომიტეტის მთავარი ცენზორის, მოძალევესკის ძეგლს. თავად ძეგლი წარმოადგენს სამსაფეხურიან (საფეხურებზე ვირთხები დარბიან) პოსტამენტზე შემოდგმულ ძველ კარადას, რომელშიც საცენზურო კომიტეტში შესული დაარქივებული ძველი ჟურნალ-გაზეთებია. კარადის თავზე, მთავარი ცენზორის ბიუსტია, რომლის გვერდზეც სამგლოვია-რო გვირგვინი კიდეა რუსული წარწერით: „უღროოდ დაღუპულ ნაწარმოებთა საძმო საფლავზე დასადგმელი ძეგლის პროექტი“. მკაცრი ცენზურის პირობებში დიდი სითამამე იყო ამგვარი კარიკატურის გამოქვეყნება, რომელიც პეტერსონის ფსევდონიმის ქვეშ დამალულ დავით ერისთავს ეკუთვნის. დავით ერისთავს ეკუთვნის აგრეთვე, ჟურნალ „ფალანგას“ 1881 წლის №20 გამოქვეყნებული კარიკატურა, რომელმაც მკვლევართა პოლემიკა გამოიწვია, რამდენად იყო ის ერისთავისეული, თუ მისი ავტორი დავით გურამიშვილი იყო? კარიკატურაზე გამოსახულია „დროების“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, რომელიც გაზეთს ჩაპკირკიტებს და ოთახში შემოჭრილი მეორე ილია, ბანკის მმართველი ილია, რომელიც პისტოლეტით ხელში თავს დასდგომია რედაქტორ ილიას. მართალი გითხრათ, ვერ გამოგია, რატომ გახადა პოლემიკური ეს კარიკატურა მკვლევარმა მამია ჩხიკვიშვილმა, რომელიც მას დავით გურამიშვილს მიაწერს. დავით ერისთავის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს ზაქარია ჭიჭინაძის⁵ მიერ დავით ერისთავზე მოვონებაში ხსენებული ეს კარიკატურა, რაც იონა მეუნარ-

3 კიპნისი, სატირული, 1968, გვ. 146.

4 ჩხიკვიშვილი, პირველი, ლიტერატურული საქართველო, 1967, გვ. 2.

5 ჭიჭინაძე, დავით, 1892, გვ. 12.

გიამაც⁶ დაამოწმა და ბოლოს თვით საქართველოს ცენტრალურ არქივში დავით ერისთავის საქმეში ჩაკერებული „ფალანგას“ კომპლექტზე თვით ავტორის ხელით გაკეთებული მინაწერი „დ. ერისთავი“. რაც შეეხება, კარიკატურის ინსპირაციის წყაროს, ვფიქრობ, რამდენიმე ჰიპოთეზა შეიძლება დასახელდეს: პირველი ის, რომ საწყის პერიოდში დავით ერისთავმა „დროების“ რედაქციაში აიდგა ფეხი, როგორც პამფლეტისტმა, მეორეც ის, რომ ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ბანკთან დაკავშირებით წარმოშობილი გაუგებრობის გამო, მათ შორის დუელი უნდა შემდგარიყო, სადაც ნიკოლაძის სეკუნდანტად დავით ერისთავი იყო არჩეული, ხოლო ილიას მხარეს, - სიმბორსკი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა, რომ დუელი ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის არ შემდგარიყო. ამდენად, შესაძლოა, ეს შემთხვევა გააშარჟა დავით ერისთავმა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, გარკვეული წყენა ილიას მიმართ, რომელიც იმხანად დავით ერისთავს გულში ედო, რადგან ილია ჭავჭავაძემ მის კანდიდატურას ბანკის პრეზიდენტობაზე, თურმე, მხარი არ დაუჭირა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ილიასა და დავით ერისთავს შორის, შემდგომში ჩამოყალიბებულ კარგ ურთიერთობაში ეს ფაქტი უმნიშვნელო ეპიზოდად დარჩა. ჟურნალ „ფალანგაში“ გამოქვეყნებული კიდევ ერთი კარიკატურა, რომელიც ასევე უპირობოდ დავით ერისთავს ეკუთვნის, ასახავს „ვეფხისტყაოსნის“ დამდგენი კომისიის, რომლის ერთ-ერთი წევრი დავით ერისთავიც იყო, მუშაობის ერთ დღეს. ამ დღეს, ილია ჭავჭავაძე ხმამაღლა კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ნაწყვეტს, რომლის ერთმა სიტყვამაც კომისიის წევრების დაეჭვება გამოიწვია. დამდგენი კომისიის რამდენიმე წევრს სიტყვა „თავი“ მოგვიანო ხანის ინტერპოლაციად მიუჩნევია. დავით ერისთავმა, იუმორის მახვილი შეგრძნებით, კარიკატურას ასეთი კომენტარი წაუძღვარა:

„სხდომის თავმჯდომარე: ბატონებო. გადავწყვიტოთ ბოლოსდაბოლოს რომელ სიტყვას „თავი“, თუ „თივა“, მივანიჭოთ უპირატესობა? ხმები: ერთსაც და მეორესაც!

თავმჯდომარე: მაშინ გამოდის თავი თივით დატენილი!“

მხატვარმა არაჩვეულებრივად სახასიათოდ გად-

მოსცა, როგორც კომისიის წევრთა გამომეტყველება, ისე საკუთარი ავტომარჟი.

1880 წლის №2 ჟურნალის გამხსნელი გრაფიკული ნახატი, რომელიც დავით გურამიშვილს ეკუთვნის, წარმოაჩენს იმ პერიოდში საქართველოში გამოშვებულ დასტად დაწყობილ გაზეთებს: „დროება“, „კავკაზი“ და სხვა, კარიკატურის მინაწერი გვამცნობს, რომ ცენტრიდან, ანუ პეტერბურგიდან გადაუწყვეტილი გაზეთების რედაქციებს გაუზარდონ გადასახადი გუბერნატორისათვის. ესე იგი, ამ ერთი შეხედვით უწყინარი ჩანახატით მხატვარმა საკმაოდ მწვავე საკითხი გააჟღერა, რომ მედიას, ისედაც გაღარიბებული მოსახლეობის ხარჯზე, დაუწესდა გაზრდილი გადასახადი გუბერნატორის შესახად, ფაქტობრივად, ეს იყო მხატვრის გაფრთხილება რუსეთიდან საქართველოში მომავალი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ბეწოლაზე. ჟურნალის იმავე ნომრის შემდეგი ორი ნახატიც დავით გურამიშვილის უნდა იყოს. მსგავსი ხელწერით, დახელოვნებული სწრაფი ჩანახატები გადმოგვცემენ ქალთან ეპოქალური დამოკიდებულების რამდენიმე ასპექტს. ამ ჩანახატებში ქალი წარმოდგენილია, როგორც ოდნავ ქარაფშუტა, ამავე დროს ემანსიპირებული არსება თამამი ქცევებით. ორივე კარიკატურა შესრულებულია მოკლე მტრისხოვანი დამუშავებით, ოდნავ დეტალიზებული, თუმცა სწრაფი ჩანახატი დავით გურამიშვილისეულ ხელწერას იმ დროის მხატვრულ ტენდენციასთან - „არტ ნუოვოსთან“ აკავშირებს. ორივე კარიკატურას მიწერილი აქვს რუსულად ინციფალები დ.გ. რაც შეეხება, ჟურნალ „ფალანგას“ 1880 წლის №3-ს, აქ დავით გურამიშვილისეულ იდეურ გადაწყვეტასთან ერთად, იკვეთება პეტრე კოლჩინის თანამონაწილეობაც. ჟურნალის გამხსნელი კომპოზიცია ასახავს ორ პიროვნებას, აქედან ერთი პურის მცხობელია, აშკარად ქართული სახის გამომეტყველებით, ხოლო მეორე კი, რუსი პოლიცმაისტერია, რომელიც უკრძალავს ქართველს პურის ცხობას. ქვემოთ, კარიკატურას ლექსად აქვს მიწერილი: „Весь век свой кажеться ны пек, не допеки меня мой рок“. კარიკატურის საერთო სათაურად კი გამოტანილია „Ватерлоо Пурщиков“. კარიკატურას მარცხენა კუთხეში მიწერილი აქვს ლათინურად Peterson, მარჯვნივ ქვემოთ კი წერია გრა-

6 მეუნარგია, ქართველი, 1954, გვ. 407

ვიორის სახელის და გვარის რუსული ინიციალები A. III. შინაარსობრივი მხარე მთლიანად გურამიშვილის უნდა იყოს, რადგან დავითი აქტიურად იყო ჩართული მეფის რუსეთის წინააღმდეგ ქართველთა პოლიტიკურ ბრძოლაში. იგი იყო ხალხოსანი, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი. აქვე, არ შემოიქცია არ აღვნიშნო, რომ ქართველი მეპურის გამომეტყველება, მისი სახის ნაკვთები გარკვეულ მსგავსებას ავლენს თვით დავით გურამიშვილთან, როგორც ჩანს, კოლჩინმა იგი ქართველი პურისმცხოვლის პროტოტიპად გამოიყენა, მიხაი ზიჩის ანალოგიით, როდესაც უნგრელმა მხატვარმა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას, ახალგაზრდა დავით გურამიშვილი გამოიყენა ტარიელის სახის პროტოტიპად. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიიდან საქართველოში დროებით ჩამოსული მხატვარი ალექსანდრე ბერიძე არის ავტორი ჟურნალ „ფალანგას“ 1881 წლის №2-ის გამხსნელი კარიკატურისა, რომელსაც ქვემოთ აქვს მინაწერი „Столпы турецкой Армении“. დარბეული სომხური რედაქციის მიმართ აშკარა სოლიდარული თანაგრძნობა იკითხება ამ კარიკატურით, რომელსაც ქვედა მარჯვენა კუთხეში რუსული ასოებით უკუღმა მიწერილი აქვს „ეზდირებ“, რაც წაღმა იკითხება, როგორც „ბერიდზე“. კარიკატურა ასახავს რეალურ ფაქტს, თბილისში რუსი ჟანდარმერიის მიერ სომხური ჟურნალის დარბეული რედაქციას, საინტერესოა, ასევე, მხატვარ ალექსანდრე ბერიძის მეგობრული შარჟი მიძღვნილი მსახიობი ქალის,

ემილია პავლოვსკაიას საიუბილეო საღამოსადმი. იუმორისტული ნახატი ჟურნალის ორ გვერდზეა გადაშლილი და მას შემდეგი მინაწერი აქვს: „გიყვარს სრიალი მაშინ მარხილის თრევაც უნდა გიყვარდეს“, ცნობილი რუსული ანდაზა იმაზე მიანიშნებს, მსახიობს თუ მოსწონს, რომ მრავალი თაყვანისმცემელი ახვევია გარშემო, მაშინ თავის თავზე უნდა აიღოს თეატრის გაძღოლის მთელი სიმძიმე. ცნობილმა თეატრალმა და კარიკატურისტმა ალექსანდრე ბერიძემ საინტერესოდ გახსნა კარიკატურის შინაარსი: მომღერალი ემილია პავლოვსკაიას სურათს, რომელიც ოთხკუთხა შენობაშია მოთავსებული, გარს ახვევია ქალის ნიჭის თაყვანისმცემლები. იქვე ახალგაზრდა კაცი ბუშტებს ბერავს, მათზე წერია იმ ოპერების სახელწოდებები, რომლებშიც მომღერალს წამყვანი პარტიები შეუსრულებია. მეორე გვერდზე კი, სოლისტებს თავიანთი მხრებით მოაქვთ თეატრის შენობა, დედოფლის გვირგვინით შემკული თეატრის პრიმასოლისტი პავლოვსკაია კი, ხელში ქამრით, მათ წინ მიერეკება. ამავე მარჯვენა კუთხეში მიწერილია მხატვრის ფსევდონიმი „ეზდირებ“(რუსულად) ანუ წაღმა წაკითხული „ბერიდზე“.

ამრიგად, XIX საუკუნის მიწურულის ჩვენი დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში „ფა-ლანგას“ ფურცლებზე წარმოდგენილმა, პირველი ქართველი კარიკატურისტების სატირულმა გრაფიკამ დიდი როლი ითამაშა რთული სოციალური პრობლემების სამზებელზე გამოტანაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- კიპნისი მ., პირველი სატირული ჟურნალები კავკასიაში, ჟურნალისტიკის თეორიის და ისტორიის საკითხები, ტ. 131, თბ., 1968.
- მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, თბ., 1954.
- მიშველაძე რ., რჩეული თხზულებანი 25 ტომად, ტ. 24, თბ., 2013.
- სეფიაშვილი ო., ქართული კარიკატურა, საბჭოთა ხელოვნება, 1957, #7 .
- ჩიხიკვიშვილი მ., პირველი ქართველი კარიკატურისტი, ლიტერატურული საქართველო, 17 მარტი, 1967.
- ჭიჭინაძე ზ., სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, დავით ერისთავი, ტფ. 1892.

THE SOCIOCULTURAL SITUATION IN GEORGIA AT THE INITIAL STAGE OF GEORGIAN CARICATURE

Irine Abesadze

Key words: caricature; foundation; Peterson; Phalanga

The article discusses the important caricatures by three Georgian artists, the founders of Georgian caricature: Davit Eristavi, Davit Guramishvili and Aleksandre Beridze, published in 1880-1881 in Phalanga magazine. In these caricatures, the state of the Georgian society of that period was reflected.

As one of the most relevant fields of fine art, satirical graphics reveal, and more specifically caricature—which reflects the sociocultural state of society—was closely related to publishing activities in Georgia and abroad. Studies prove that, in contrast to the indications in the scientific literature, the emergence of Georgian caricature as a genre did not happen in 1888 when Valerian Gunia published the first issue of *Theatri* magazine, but in 1880, when Russian-language humorous caricature magazine *Phalanga* was published in Tbilisi (editor Iv. Pitoev).

During the two years of its existence, despite the biggest obstacles, *Phalanga* published 50 issues. Apparently, because it was published in Russian, the magazine was ignored by a part of Georgian researchers. The reason might be the idea that this magazine did not serve the Georgian cause¹. However, contrary to this idea, *Phalanga* magazine informed readers of the problems in Georgian society through feuilletons and caricatures. Notably, well-known Georgian public figures were involved in the organizational issues of the magazine: dramatist and artist Davit Eristavi, artists: Davit Guramishvili and Aleksandre Beridze. The issue of questioning the Georgian purpose of *Phalanga* should be resolved. In addition, Akaki Tsereteli, known as the “Nightingale of Georgia”, sympathized with the successful operation of this magazine;² this confirms the magazine’s national standpoint.

For all three artists it was a test of their own strength

in the genre of social caricature and this test was quite successful. Given the limited format of this essay, I will try to analyze this process based on just a few caricatures. In the editorial board of *Phalanga* magazine, attention is drawn to the name Peterson, with the word pseudonym next to it in parentheses. We got interested who was behind the pseudonym Peterson. It is known that Ioseb Grishashvili, who was collecting materials about Georgian caricature to write an essay on the mentioned issue (which was not implemented), asked Oscar Shmerling to write down a list of cartoonists working in Georgia at that time. The famous caricaturist wrote at the top of the list the artist of magazine *Phalanga*, Peterson, and wrote next to this name Peter Kolchin. Thus, it became clear that Peterson was a pseudonym of a Russian artist living in Georgia, Peter Kolchin. Researcher Mark Kipnis also confirms this version.³

Petre Kolchin (1838-1898), known in Georgia as “the artist from Ljubljana”, completed professional artistic training in Russia and Ljubljana. He mainly pursued academic painting. He was also interested in the newly introduced and widely spread field of art in Georgia, photography. As for his participation as a caricaturist in magazine *Phalanga*, it is possible that he, as an experienced professional, could have been a consultant for rookie Georgian artists in terms of improving the artistic form. Possibly, he was involved in the choice of a pseudonym. Peter was

1 მიშველაძე, რჩეული, ტ. 24, გვ. 462.

2 სეფიაშვილი, საბჭოთა, 1957, გვ. 18.

3 კიპნისი, სატირული, 1968, გვ. 146.

Petrovich (Peter's son), which was translated into English and was received Peterson. Thus, for more self-confidence Davit Eristavi, Davit Guramishvili and Aleksandre Beridze took the pseudonym of a professional artist. Each of them added to their own caricatures the pseudonym written in Latin in the right or left corner, sometimes with only one initial, or their last name written in reverse. The caricatures of the magazine were passing through the hands of engraver Alexander Shvan, who sometimes added his own initials. To find our way in this labyrinth of pseudonyms, we received a great help from the writings of Eristavi (D. Eristov) added to his own caricatures next to his various pseudonyms (Aquaforte, Aquaforte-Corporal, Sonini, Getterion, "0").

Researcher Mamia Chkhikvishvili rightly considered Davit Eristavi to be the first Georgian cartoonist, but he was wrong when he considered that Peterson is the pseudonym of one artist, Davit Eristavi, along with his other pseudonyms: Corporal, Sonini. Mamia Chkhikvishvili by mistake thought that A. Shvani was also the pseudonym of Davit Eristavi, which is not correct⁴. In 1881, an interesting and bold caricature signed by Peterson was published on the first pages of the first issue of *Phalanga*. The caricature depicts the monument of Chief of the Censorship Committee Modzalevsky. The monument itself represents an old closet placed on a three-step (rats run on the steps) pedestal. In which archived old magazines and newspapers submitted to the censorship committee are in the closet. On top of the closet there is a bust of the chief censor. Next to the bust is a funeral wreath with the Russian inscription: "The project of a monument for the grave of the works that died too early". In the conditions of strict censorship, it took great courage to publish such a caricature, which belongs to Davit Eristavi, hiding under the pseudonym of Peterson. Davit Eristavi was also the author of a caricature published in 1881 in *Phalanga* No. 20, which caused controversy among researchers, whether it belonged to Eristavi or its author was Davit Guramishvili. The caricature shows the editor of newspaper *Droeba*, Ilia Chavchavadze, staring at the newspaper, and the second Ilia, the manager of the bank, who with a pistol in his hand stands next to the editor Ilia. To be honest, I do not understand why this caricature became

the source of controversy for the researcher M. Chkhikvishvili, who attributes it to Davit Guramishvili. In favor of Davit Eristavi being the author of the caricature speak several sources: the memoirs of Zakaria Chichinadze⁵ about Davit Eristavi, which was also approved by Yona Meunargia⁶ and lastly, the inscription D. Eristov made by the author himself on the set of *Phalanga*. As for the source of inspiration for the caricature, I think several hypotheses can be named: firstly, in the early period, Davit Eristavi was working in the editorial office of *Droeba* as a pamphleteer, and secondly, due to a misunderstanding regarding the bank, the duel was supposed to take place between Ilia and Niko Nikoladze, where Davit Eristavi was chosen to help Nikoladze's and Simborski was chosen on Ilia's side and played a big role in preventing a duel between these two great figures. Therefore, Davit Eristavi may have depicted this case in the caricature. It is also necessary to take into account a possibly Davit Eristavi was upset with Ilia because he did not support his candidacy for the presidency of the bank. However, this fact remained an insignificant episode in the subsequent good relationship between Ilia and Davit Eristavi. Another caricature published in *Phalanga*, also by Davit Eristavi, depicts one working day of the commission of *The Knight in the Panther's Skin*. Davit Eristavi was one of the members of this commission. On this day, Ilia Chavchavadze was reading aloud a passage from the poem. One of the words caused suspicion among the members of the commission. Some members considered the word head to be a later addition. Davit Eristavi, with a sharp sense of humor, wrote next to the caricature: Chairman of the session: "Gentlemen, let's finally decide which word to support head or hay". Voices: Both! Chairman: Then we get a head stuffed with hay? The artist depicted with incredible characteristics both the expressions on the faces of the members of the commission and his face.

The opening graphic of the issue No. 2 of *Phalanga* published in 1880, which belongs to Davit Guramishvili, shows the newspapers published in Georgia at that time: *Droeba*, *Kavkaz*, and others. The writing next to the caricature informs us that it was decided in the center, i.e., in Petersburg, to raise the bills for the editorial offices of the newspapers in Georgia to pay to the governor.

4 ჩხიკვიშვილი, პირველი, ლიტერატურული საქართველო, 1967, გვ. 2.

5 ჭიჭინაძე, დავით, 1892, გვ. 12.

6 მეუნარგია, ქართველი, 1954, გვ. 407

With this seemingly innocuous sketch, the artist voiced a rather problematic issue that the media was charged an increased tax to support the governor at the expense of the already impoverished population. In fact, this was the artist's warning about the socioeconomic pressure coming from Russia to Georgia. The next two pictures from the same issue must be by Davit Guramishvili. In a similar style, skillful quick sketches convey several aspects of the epochal attitude to women. In these sketches, a woman is represented as a bit silly and at the same time an emancipated being with bold behaviors. Both caricatures are made with short strokes, slightly detailed, but a quick sketch finds Davit Guramishvili's style close to the artistic trend of that time, Art Nuovo. Both caricatures have the initials D.G. in Russian. As for the issue No. 3 of Phalanga published in 1880, here, together with Davit Guramishvili's ideology, Petre Kolchini's participation is also visible. The opening composition of the magazine depicts two people, one of them is a baker with a distinctly Georgian facial expression, and the other is a Russian police chief who forbids a Georgian to bake bread. Below the caricature is written a poem in Russian: "Весь век свой кажутся бы пек, не допеки меня мой рок". Ватерлоо Пуршиков is written as the title of the caricature. On the left corner of the caricature is written Peterson in Latin and on the right corner is written in Russian the initials of the engraver A. Sh. The content of the caricature must be created entirely by Guramishvili because David was actively involved in the political struggle of Georgians against Tsarist Russia. He was a defender of the interests of people. Here, I should mention that the expression of the Georgian baker, his facial features show a certain similarity with Davit Guramishvili himself. It seems that Kolchin used him as a prototype of the Georgian baker, similar to Mihai Zich, when the Hungarian artist while working on Rustaveli's


The Knight in the Panther's Skin used the young Davit Guramishvili as Taniel's prototype.

Artist Aleksandre Beridze, who temporarily came to Georgia from the St. Petersburg Academy of Arts, is the author of the opening caricature of the issue No. 2 of Phalanga published 1881. The caricature is accompanied with the writing in Russian Столпы турецкой Армени. This caricature shows a clear solidarity with the raided Armenian editorial office. On the back of the caricature is written in Russian Ezdireb, which read backwards is Beridze. The caricature reflects a real fact, the raiding of the editorial office of Armenian magazine in Tbilisi by the Russian gendarmerie. Another interesting caricature by Beridze is the friendly cartoon dedicated to actress Elena Pavlovskaya. The humorous drawing is spread over two pages of the magazine and has the following caption: "If you like to skate, then you must also like to drag the carriage". A famous Russian proverb indicates that if an actress likes to be surrounded by many admirers, she should take on herself the whole burden of running the theater.

The famous theater artist and caricaturist Aleksandre Beridze interestingly revealed the content of the caricature: the picture of singer E. Pavlovskaya, which is placed in a quadrangular building, is surrounded by admirers of her talent. Nearby, a young man blows balloons with the names of the operas in which the singer has played the leading parts. On the other page, the soloists bring the theater building on their shoulders, and the prima soloist of the theater, E. Pavlovskaya with a queen's crown, is leading them with a belt in her hand. In the same right corner, the artist's pseudonym Ezdireb (in Russian), i.e., Beridze is written backwards. Thus, the satirical graphics of the first Georgian cartoonists presented on the pages of Phalanga played an important role in emphasizing the complex social problems by the end of the 19th century.

REFERENCES:


- კიპნისი მ., პირველი სატირული ჟურნალები კავკასიაში, ჟურნალისტიკის თეორიის და ისტორიის საკითხები, ტ. 131, თბ., 1968.
- მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, თბ., 1954.
- მიშველაძე რ., რჩეული თხზულებანი 25 ტომად, ტ. 24, თბ., 2013.
- სეფიაშვილი ო., ქართული კარიკატურა, საბჭოთა ხელოვნება, 1957, #7 .
- ჩხიკვიშვილი მ., პირველი ქართველი კარიკატურისტი, ლიტერატურული საქართველო, 17 მარტი, 1967.
- ჭიჭინაძე ზ., სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები, დავით ერისთავი, ტფ. 1892.



1. დ. ერისთავი, გაზეთი „დროებას“ რედაქციაში,
„ფალანგა“, 1881 № 20
DAVID ERISTAVI, IN THE EDITORIAL OFFICE OF THE
NEWSPAPER "DROEBA". MAGAZINE, PHALANGA N. 20, 1881.



2. დავით ერისთავი, „ვეფხისტყაოსნის“
დამდგენი კომისიის მუშაობის ერთი დღე,
ქ. „ფალანგა“, № 13, 1881.
DAVID ERISTAVI, ONE WORKING DAY OF THE
COMMISSION OF VEPKISTKAOSANI (THE KNIGHT
IN THE TIGER SKIN), PHALANGA № 13, 1881.



3. დავით გურამიშვილი, კურისმცხობელთა
ვატერლოთ, ქ. ფალანგა“ № 3, 1880.
DAVID GURAMISHVILI, THE BAKERS WATERLOO,
PHALANGA № 3, 1880.



4. ალექსანდრე ბერიძე, ძარცვა თბილისში
პოლიციელის თვალწინ, ქ. „ფალანგა“.
№ 12, 1881.
ALEKSANDR BERIDZE, ROBBERY IN FRONT OF A
POLICEMAN IN TBILISI, PHALANGA № 12, 1881.